განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების
# შ.პ.ს საზოგადოებრივ კოლეჯ თბილისის № 1 სამედიცინო სასწავლებლის
# პროგრამების დამატებაზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
# დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი **გიორგი ბერაია**

**წევრები:**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი : **მზია ბაკურიძე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის № 1 სამედიცინო სასწავლებელი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: 202056764

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 07 აგვისტოს N690 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (ჯგუფის თავმჯდომარე გიორგი ბერაია, ჯგუფის წევრი მზია ბაკურიძე) 2019 წლის 15 და 16 აგვისტოს განახორციელა ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ თბილისის № 1 სამედიცინო სასწავლებელში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი მეხუთე საფეხურის „ფარმაციის (სააფთიაქო)“და „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისა და .პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად (დანართი 1).
ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ 2018 წლის 11 და 12 ივნისს განხორციელებული ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

რეკომენდაცია:
1.სასურველია არასრულწოვან პირთან გაფორმებული ხელშეკრულების შემთხვევაში,დაწესებულების რეგულაციაითვალისწინებს პირად საქმეში არასრულწოვანი პირის დაბადების მოწმობისა და კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლის არსებობას-**შესრულებულია**
2.სასურველია სამოქმედო გეგმაში აისახოს ყველა ის მნიშვნელოვანი აქტივობა,რომელთა განხორციელებასაც გეგმავს დაწესებულება საანგარიშო წლის მანძილზე-**შესრულებულია;**
3.სასურველია დაწესებულებამ იზრუნოს ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის გაფართოებაზე-**შესრულებულია;**
4.მოდულის ბაზაზე ,,გატანის'' შემთხვევაში,ბაზასთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდეს თეორიული კომპონენტის გავლისათვის აუცილებელი გარემოს არსებობას-**შესრულებულია**
5. სასურველია დაწესებულებამ იჯარის ვადის გასვლამდე იზრუნოს ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე,რათა ხელი არ შეეშალოს დაწესებულების სრულფასოვნად ფუნქციონირებას,ვინაიდან იჯარის ხელშეკრულების ვადა იწურება 2019 წელს.- **შესრულებულია**
6.სასურველია სამედიცინო კაბინეტზე პასუხისმგებელ პირს დაევალოს მედიკამენტების ვადების კონტროლიდა მათი მარაგების განახლებაზე ზრუნვა-**არ შესრულებულა**

ვიზიტის დაწყებამდე, დღის წესრიგის შედგენის მიზნით, მოხდა ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაცია და დღის წესრიგის შეჯერება;

წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად დაგეგმა და განახორციელა პროგრამების თავისებურებების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის და მატერიალური რესურსის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო , შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები.

ვიზიტის დაწყებისას დაწესებულების ხელმძღვანელთან განხორციელდა დღის წესრიგის განხილვა, დღის წესრიგში ცვლილებების განხორციელების საჭიროება არ დამდგარა.

გადამოწმდა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, საგანმანათლებლო პროგრამები, პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებელი მექანიზმები, შეფასების სისტემა, პროფესიულ სტუდენტთა რეესტრი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და სხვა.
მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით გადამოწმდა დამატების მიზნით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების A, B და C გარემო, დაწესებულების ვებ-გვერდი, ბიბლიოთეკა, საევაკუაციო გეგმა, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმები და სხვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

ადამიანურ რესურსთან მიმართებაში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, ხელშეკრულებები, დანიშვნის ბრძანებები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სხვა.

განხორციელდა ვიზიტი საწარმოო პრაქტიკის ბაზებზე -

1.იაშვილის სახელობის კლინიკა და აკადემიკოს ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი-გასაუბრება მოხდა პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან.

განხოციელდა გასაუბრება დაწსებულების ხელმძღვანელთან,დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის მართვის სამსახურთან, განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურთან , პროგრამების განმახორციელებელ პირებთან.

დღის ბოლოს ჯგუფის წევრებს შორის ხდებოდა გაწეული მუშაობის შედეგების შეჯერება.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ვიზიტის პროცესში გამოკვეთილი მიგნებები.

ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და საქმიან გარემოში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | □ | ■ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლბლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | □ | ■ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ■ | □ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები. | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ■ | □ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ■ | □ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)** | ■ | □ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ■ | □ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში; | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ■ | □ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)** | ■ | □ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)** | ■ | □ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)** | ■ | □ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)** | ■ | □ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | **მუხლი 7 / პუნქტი ზ)** | ■ | □ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | | | |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | □ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | □ | ■ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | □ | ■ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | □ | ■ |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ექსპერტთა შეფასებით არ გამოვლენილა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

1. „ევექსის ჰოსპიტლები“ გაფორმებულ ხელშეკრულებით **დარღვეულია 1.1 ქვესტანდარტი.**
2. მოდულური პროგრამა „საექთნო განათლების“ კლინიკური პრაქტიკის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციები არ შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. **დარღვეულია 3.2 ქვესტანდარტი.**
3. დაწესებულებას არ აქვს დადგენილი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. **დარღვეულია 3.1 და 3.2 ქვესტანდარტი.**
4. პერსონალთან გაფორმებულ შრომითი ხელშეკრულებებში არ არის მითითებული სამუშაოს ადგილი. **დარღვეულია 3.3 ქვესტანდარტი**

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

1. სასურველია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში მითითებული იყოს თუ რამდენ ასტრონომიულ საათს უდრის ერთი პროფესიული კრედიტი.
2. ზოგად მოდულებში შეფასების მიმართულებაში ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული თითოეული სწავლის შედეგი დადასტურებულ იქნას არანაკლებ 75 %-ით.
3. დაწესებულების მიერ გაიწეროს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი და ვადები.
4. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ფარმაცია(სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამაში და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის საათების რაოდენობა სასწავლო წლის 39-ე კვირაში, ისე რომ არ აღემატებოდეს 40 საათს.
5. დაწესებულებამ საკუთარ რეგულაციაში გაწეროს პროფესიული სტუდენტის შეფასების აპელაციის პროცედურა;
6. დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გაწეროს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის მექანიზმი
7. დაწესებულებამ შეიმუშავოს პროგრამის განვითარების პროცესში სტუდენტთა და მასწავლებელთა შეფასებაში ჩართვისა და მათგან უკუკავშირის მიღების მექანიზმები. მაგ.: სამიზნე ჯგუფებში მოტივაციის ამაღლება, ფოკუს-ჯგუფების შექმნა, კითხვარების გადახედვა.
8. რეკომენდებულია შეიქმნას შიდა მონიტორინგის/მხარდაჭერის ჯგუფი ან/და პროგრამების ადაპტირებაზე მომუშავე ჯგუფს დააკისროს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი და შემუშავდეს ჯგუფის ფუნქციონირებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტი (სამოქმედო გეგმა, შეფასების ინსტრუმენტის და კალენდარული გეგმის შეფასების ფურცლები, ლექციებზე დასწრების კითხვარები და სხვა)
9. სასურველია დაწესებულების დინამიური განვითარების ანალიზისათვის საიტზე განთავსდეს კატალოგები წლების მიხედვით.
10. დაწესებულებამ 2019 წლის კატალოგში მოცემული დასამატებელი პროგრამები განათავსოს ანონსის სახით.
11. კატალოგში უნდა იყოს მითითებული ანონსის სახით, რომ დაწესებულება აპირებს აღნიშნული პროგრამების დამატებას და ავტორიზაციის გავლის შემდგომ განახორციელებს მათ.
12. სასურველია დაწესებულებამ საკუთარ რეგულაციაში გაწეროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი და განსაზღვროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

13. სასურველია უფლებამოსილი პირის მიერ გამოიცეს ბრძანება მატერიალური რესურსების გადანაწილების შესახებ.
14. სასურველია დაწესებულებას გააჩნდეს ოქმების სარეგისტრაციო ჟურნალი.
15. რეკომენდირებულია დაწესებულებამ შეიმუშავოს ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები
16. სასურველია,პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების განცხადებაში დაკონკრეტდეს რომელ პროგრამაზე,რომელი მოდულის/მოდულებისგანხორციელების მიზნით სურს მუშაობის დაწყება
17. დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული მასწავლებლების დატრენინგება კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით.
18. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი,სწავლების და შეფასების ახალი მიდგომები გააცნონ პროფესიული განათლების მასწავლებლებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

## VII. დაწესებულების მისია

კოლეჯის მისიაა პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელების მეშვეობით მოამზადოს კონკრეტული დარგის კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს მუდმივად ცვალებად, განვითარებაზე ორიენტირებულ შიდა და გარე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაციას, ხელს შეუწყობს ჯანდაცვის სფეროს დინამიურ განვითარებას.

***კოლეჯის ძირითადი მიზანია:***

საზოგადოების ყველა ფენისთვის პროფესიული და პიროვნული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება ჯანდაცვის სფეროში დასაქმების, თვითდასაქმების და კარიერული წინსვლისთვის.

***კოლეჯის ძირითადი ამოცანებია:***

1. ქმედითი, თანმიმდევრული ღონისძიებების გატარება საგანმანათლებლო დაწესებულების უწყვეტი, დინამიური განვითარებისათვის.

2. თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზება, საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი სწავლების ამოქმედება;

3. განათლების ხელმისაწვდომობის და საჯაროობის უზრუნველყოფა,სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა.

4. გადაწყვეტილების მიღების პროცესში პროფესიულ სტუდენტთა პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნათა გათვალისწინება;

5. პარტნიორული ურთიერთობის დამყარება საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლებთან.

6. დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისტემატიური სრულყოფა სტანდარტების შესაბამისად.

7. პროგრამის განმხორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა.

8. კურსდამთავრებულთა დასაქმების, საკუთარი ბიზნესის წამოწყების და თვითდასაქმების ხელშეწყობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

## სტანდარტების შეფასება

### 1. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1** დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 თებერვალის N01 გადაწყვეტილებით შპს საზოგადოებრივ კოლეჯ თბილისის № 1 სამედიცინო სასწავლებელს მიენიჭა ავტორიზაცია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება 6 წლის ვადით.

დაწესებულება მილევად რეჟიმში ახორციელებს პროფესიულ საგნობრივ და მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებს. **პროგრამებზე დაწესებულებას ჰყავს 251 სტუდენტი.**

დაწესებულების მატერიალური ბაზისა და პერსონალის გადამოწმებისას დადგინდა, რომ დაწესებულებას აქვს რესურსი აღნიშნული პროგრამების მილევად რეჟიმში განხორციელების პარალელურად განახორციელოს მოთხოვნილი მოდულური პროგრამებით გათვალისწინებული სტუდენტების სწავლება.

დაწესებულებას სურვილი აქვს დაიმატოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამა - „საექთნო განათლება“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, სასწავლებლის დირექტორის 2019 წლის 15 ივლისის № 18 ბრძანებით.,სარეგისტრაციო ნომერი 09109-პ. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ა) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან); ბ)მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი). სპეციალიზაციის კოდი: 0913; მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობა 240. საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე კლინიკური სწავლების კომპონენტსაც. პროგრამით განსაზღვრული კლინიკური სწავლება შეადგენს სრული მოცულობის ნახევარს - 90 კრედიტს და ჩატარდება პრაქტიკის ობიექტებზე, რომელთანაც გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები:

1. აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა- 01.07.2019;
2. ევექსის ჰოსპიტლები- 27.05.2019;
3. საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი-10.05.2019;
4. აკადემიკოს ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი-02.07.2019;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

5. წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო-30.05.2019

2. ,,ფარმაცია (სააფთიაქო)‘‘-დამტკიცებულია სასწავლებლის დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის № 01/11 ბრძანებით.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამა - ,,ფარმაცია (სააფთიაქო)‘‘, სარეგისტრაციო ნომერი 09110-პ. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან); ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი). სპეციალიზაციის კოდი: 0916; მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობა 126. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს 3 წლით ხელშეკრულება, რაც უზრუნველყოფს სწავლების პრატიკული ნაწილის, ეფექტურად გავლას, დაძლევას შემდეგ ობიექტზე:

- შპს ,,ავერსი-ფარმა’’ (ქ.თბილისი,აღმაშენებლის გამზირი148. ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 10.05.2019)

ვიზიტის მიზნებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან.
დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გადამოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა შემდეგი გარემოებები:

„საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პირველი გვერდი მოიცავს ინფორმაციას პროგრამის დამტკიცების შესახებ, დაწესებულების ემბლემას და დასახელებას, პროგრამის დასახელებას.
„საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 180 კრედიტი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 210 კრედიტი), პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის, ინფორმაცია დანართების შესახებ - სასწავლო გეგმა, განმახორციელებელი პერსონალი და პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული.
პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება ხორციელდება კურაციული სისტემით. სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე მოდულების სწავლება ლოგიკურად არის დალაგებული და თანმიმდევრულია მოდულებზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.
**შენიშვნა:** სასწავლო პროცესის არც ერთ მარეგულირებელ დოკუმენტში არ არის მითითებული თუ რამდენ ასტრონომიულ საათს უდრის ერთი პროფესიული კრედიტი.
დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების წესი.
**შენიშვნა:** თუმცა არც ამ და არც სხვა დოკუმენტში აღწერილი არ არის პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცედურები, ასევე სსმპ და შშმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმების შედგენის საჭიროების პროცედურები.
ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცედურები დირექტორის ბრძანებით №01/14 16.08.2019 დამტკიცებულ წესში. ასევე საგანმანათლებლო საქმიანობის წესში ცვლილებების შესახებ დირექტოტის № 01/15 16.08.2019 ბრძანება, რაც ეხება სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

პროგრამაში მითითებულია, რომ სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. პროფესიული სტუდენტის შეფასებებისას მოდულის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისთვის აუცილებელია: რომ თითოეული სწავლის შედეგი დადასტურებულ იქნას არანაკლებ 75 %-ით.

**შენიშვნა:** ზოგად მოდულებში შეფასების მიმართულებაში მითითებულია 51%-იანი ზღვარი.

განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

**შენიშვნა:** პროგრამაში არ ჩანს წინაპირობებიან მოდულებზე დაშვების შესაძლებლობა წინა მოდულების შედეგების დადასტურების გარეშე.

ვიზიტის მეორე დღეს დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის ბრძნება № 01/15 16.08.2019 სასწავლებლის დებულებაში ცვლილების განხორციელების შესახებ, სადაც სტუდენტის მიერ წინმსწრები მოდულის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში დამატებითი ერთკვირიანი შუალედი არის გათვალისწინებული. შესაბამისად ცვლილება შევიდა სასწავლო გეგმებში და წარმოდგენილ იქნა დირექტორის ბრძანება №01/16 16.08.2019 პროფესიული პროგრამების „საექთნო განათლება" და „ფარმაცია" (სააფთიაქო) დამტკიცების შესახებ.

მოდულებში მითითებული სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები შესრულების კრიტერიუმებთან და შედეგებთან მიმართებაში ვალიდურია.

პროგრამაში მითითებულია, რომ კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

**შენიშვნა:** საკვალიფიკაციო გამოცდის შინაარსი და ჩატარებისპროცედურები პროგრამაში აღწერილი არ არის და არც სასწავლო გეგმით არ არის გათვალისწინებული

<u>პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას აქვს ხელშეკრულებები შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან:</u>

1. აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა- 01.07.2019;
2. ევექსის ჰოსპიტლები- 27.05.2019;
3. საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი-10.05.2019;
4. აკადემიკოს ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი-02.07.2019;
5. წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო-30.05.2019

პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების განხილვის შედეგად ირკვევა, რომ განსაზღვრულია პრაქტიკის განმახორციელებელი პირების მიმართ წაყენებული მოთხოვნები: ფუნქციები, პასუხისმგებლობები, უფლება-მოვალეობები, ანგარიშგების/ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება, სტუდენტის არადსციპლინური პასუხისმგებლობის დასმის უფლებამოსილება, წახალისების და სხვა საკითხების დასმის უფლებამოსილება, განმახორციელებელი პირისა და სტუდენტთა თანაფარდობა 1/7, პირადი დაცვის საშუალებებით სტუდენტთა უზრუნველყოფის საკითხები.

**შენიშვნა:** „ევექსის ჰოსპიტლები" გაფორმებულ ხელშეკრულებაში კლინიკური პრაქტიკის განმახორციელებელი პერსონალის უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობები განსაზღვრული არ არის, რაც ამ „ევექსის ჰოსპიტლების" შემადგენელ კლინიკებთან კლინიკური პრაქტიკის სრულყოფილ განხორციელებას კითხვის ქვეშ აყენებს.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის(საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში /Fifth Level Vocational Qualification in Pharmacy (2020 წლის 29 თებერვლამდე) (კოდი - 090352) და ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში/ Associate Degree in Pharmacy (2020 წლის 29 თებერვლიდან-სფეროს კოდი 0916)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კერძოდ, დირექტორის მიერ 2019 წლის 12 ივნისის N 01/11 ბრძანებით.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შედგება ძირითადი დოკუმენტისა და მოდულების ადაპტირებული ვერსიებისაგან. პროგრამებში განსაზღვრულია: მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა კრედიტებში და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულების ჩამონათვალი (ზოგადი მოდულები, საერთო პროფესიული/დარგობრივი მოდულები და სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები). თითოეულ პროგრამას თან ერთვის: შესაბამისი მოდულები, სასწავლო გეგმა და ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ (სახელი, გვარი, მოდული - რომელსაც ახორციელებს და კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება), სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტების სწავლებისათვის.
წარმოდგენილ პროგრამებს აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა. თითოეული პროგრამის შესაბამისი მოდულების შესწავლისას დაცულია წინაპირობები, თანმიმდევრობა ასახულია სასწავლო გეგმებში.
სასწავლო გეგმებში დაცულია თითოეული მოდულის კრედიტების რაოდენობები და ისეა დაგეგმილი, რომ დაცულია წინაპირობები. არ არის გათვალისწინებული გადაბარების შესაძლებლობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში სტუდენტთა კვირეული დატვირთვა კვირაში არ აღემატება 40 საათს.
დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ჩასწორებული(კოლეჯის დირექტრის 16.08.2019 წლის N01/16 ბრძანებით დამტკიცებული ფარმაცია(სააფთიაქო) სასწავლო გეგმის ახალი რედაქცია), კერძოდ სასწავლო გეგმაში B გარემოში სტუდენტთა კვირეული დატვირთვები შეიცვალა იმდაგვარად, რომ შესაძლებელი გახდა სხვადასხვა პროგრამების სტუდენტთა აღნიშნულ გარემოში სწავლების დაგეგმვა.
დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროგრამებში წარმოდგენილი პროფესიულ სტუდენტთა კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რაც რეგულირდება დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 22 მაისისს №01/06 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მუხლი 6. პუნქტი 21-22-ით. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაადასტუროს სწავლის შედეგი პროგრამის დასრულებამდე, ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დაადასტურა, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე ორჯერ. შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია თავიდან გაიაროს ეს მოდული/სწავლის შედეგი.
თუმცა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: საექთნო განათლება და ფარმაცია (სააფთიაქო) თანახმად, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების პირობები წესდებაში არ არის გაწერილი.
***რეკომენდაცია:*** დაწესებულებამ საკუთარ პროფესიული განათლების წესდებაში აღწეროს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების წესი და მოთხოვნები ზემოთაღნიშნული პროგრამისათვის.
დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა დაწესებულებას დასაბუთებული აქვს სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის შესწავლით, ანალიზით, დამსაქმებელთა ჩართულობით, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევა დამატებაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

*(ქალაქი, წელი)*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და მათი კვალიფიკაცია, ასევე აკადემიის მატერიალური რესურსი იძლევა აღნიშნული რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთათვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობას.
დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს 3 წლით ხელშეკრულება, რაც უზრუნველყოფს სწავლების პრატიკული ნაწილის, ეფექტურად გავლას, დამლევას შემდეგ ობიექტზე:

შპს ,,ავერსი-ფარმა'' (ქ.თბილისი,აღმაშენებლის გამზირი148. ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 10.05.2019) ხელშეკრულების საგანია, შპს ,,ავერსი-ფარმას" სააფთიაქო ქსელის ბაზაზეპროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო),ჩარჩო დოკუმენტის შემდეგი მოდულების განხორციელება:
1) მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში;
2) მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა;
3) მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა;
4) პროდუქციის მიღება განთავსება; ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება;
5) მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა;
6) მომხმარებლისათვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა;
7) სანიტარულ ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებებში.
ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებლად ერთდროულად მიიღებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 80 (ოთხმოცი) პროფესიულ სტუდენტს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

დაწესებულების ,,საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება" (დამტკ. დირექტორის ბრძ. N 01/06 22 მაისი 2019 წელი;

საგანმანათლებლო პროგრამებით;

პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები;

საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება/ცვლილებების აქტით;

საგანმანათლებლო პროგრამების ,,ფარმაცია (საათიაქო)"და , ,,საექთნო განათლება" განხორციელების

მიზანშეწონილობის დასაბუთებით;

**შეფასება:**

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
■ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

**1.2** დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების კატალოგი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს, მოცემულია (http://www.medicalschool.ge/proggrames/კატალოგი) ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე მისანიჭებელი კვალიფიკაციების, პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. მითითებულია იმ საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობები,რომელთა განხორციელების სურვილი აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებას,ესენია:საექთნოგანათლება და ფარმაცია(საავთიაქო). ეს პროგრამები ანონსის სახით არ აქვს მითითებული

**შენიშვნა:** ავტორიზაციამდე დაგეგმილი პროგრამების განხორციელების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ანონსის სახით, რომელიც დაწესებულების მიერ იქნა გასწორებული ვებ. გვერდზე.

**შენიშვნა:** საიტზე მოცემულია მხოლოდ 2019 წლის კატალოგი. სასურველი იქნებოდა სასწავლებლის დინამიური განვითარების ანალიზისათვის გვეხილა წინა წლების კატალოგიც.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი);
http://www.medicalschool.ge/proggrames/კატალოგი

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.3** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „საექთნო განათლება“ და „ფარმაცია“ (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

საზოგადოებრივ კოლეჯ თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ და „ფარმაცია“ (სააფთიაქო)

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## 1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს საზოგადოებრივიკოლეჯი 1 სამედიცინო სასწავლებლის „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“ (დამტკ. დირექტორის ბრძანების N01/06 22 მაისი 2019 წელი) შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების (მუხლი 8), სტატუსის შეჩერება/აღდგენა(მუხლი 10),სტატუსის შეწყვეტის (მუხლი 11).მობილობის , ასევე მიღებული განათლების აღიარების (მუხლი 12) წესები.

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეისწავლილ იქნა დაწესებულების პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები და შედარებული იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემასთან (evet.emis.ge), სადაც სწორად და ვადების დაცვით იყო ასახული პროფესიულ სუდენტებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ექსპერტების მიერ გადამოწმებულ იქნა სტატუსშეჩერებული სტუდენტების პირადი საქმეები, ასევე სტატუსის შეწყვეტის და შეჩერების შემთხვევები, რაც შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ წესს.

სტუდენტების პირად საქმეებში დევს დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული ყველა საბუთი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

დაწესებულებას არ ჰყოლია უცხოეთში და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების მქონე არც ერთი პროფესიული სტუდენტი.

გადამოწმებულ იქნა შიდა და გარე მობილობის შემთხვევები, რაც შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ წესს.

ინტერვიურების შედეგად გაირკვა, რომ დაწესებულებაში მომართვიანობის არარსებობის გამო, არ განხორციელებულა არაფორმალური განათლების აღიარება.

გადამოწმდა არასრულწლოვან და სრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები, პორტფოლიოებში განთავსებული იყო ყველა დოკუმენტი, პროფესიულ სტუდენტებთან (არასრულწლოვნის შემთხვევაში მის წარმომადგენელთან) ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისად, მითითებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების სრული საფასური, გადახდის პირობები, პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობები, დაწესებულების უფლება-მოვალეობები, თუმცა რეგულაციით არ იყო გაწერილი რა დოკუმენტები უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი აპლიკანტის მიერ სტუდენტის სტასუსის მისანიჭებლად.

**დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“ არ არის გაწერილი და არ არის შესრულებული რეკომენდაცია(ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ 2018 წლის 11 და 12 ივნისს განხორციელებული ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები)** -არასრულწოვან პირთან გაფორმებული ხელშეკრულების შემთხვევაში,დაწესებულების რეგულაცია ითვალისწინებდეს პირად საქმეში არასრულწოვანი პირის დაბადების მოწმობისა და კანონიერი წრმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლის არსებობას( **პუნქტი10. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ)**

**დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირების დაწესებულებაში ჩარიცხვის ჩასწორებული (დირექტორის ბრძანება №01/14 15.08.2019 წელი) დამტკიცებული ცვლილება**

დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“ არ არის გაწერილი უცხოეთში ან/და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების მქონე პირთა ჩარიცხვის, ასევე შშმ/სსსმ პირთა ჩარიცხვის რეგულაციები.

დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

სასურველია დაწესებულებამ საკუთარ რეგულაციაში გაწეროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი და შეიმუშავოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობა.

**დაწესებულებამ აღნიშნული ჩაასწორა (დირექტორის ბრძანება №01/14 15.08.2019 წელი) და წარმოადგინა ვიზიტის პერიოდში.**

დაწესებულება აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს ვადების დაცვით.

დაწესებულებას დაცული აქვს საკუთარი რეგულაციები.

*რეკომენდაცია:*

- ✓ **დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით" არ არის გაწერილი უცხოეთში ან/და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების მქონე პირთა ჩარიცხვის, ასევე შშმ/სსსმ პირთა ჩარიცხვის რეგულაციები.**
- ✓ **სასურველია არასრულწლოვან პირთან გაფორმებული ხელშეკრულების შემთხვევაში,დაწესებულების რეგულაცია ითვალისწინებდეს პირად საქმეში არასრულწლოვანი პირის დაბადების მოწმობისა და კანონიერი წრმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლის არსებობას.**
- ✓ **დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები**
- ✓ **სასურველია დაწესებულებამ საკუთარ რეგულაციაში გაწეროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი და შეიმუშავოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობა.**
- ✓

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

„საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით" (დირექტორის ბრძანების N01/06 22 მაისი 2019 წელი-ცვლ-დირექტორის ბრძანება №01/14 15.08.2019 წელი-მუხლი 8,10,11,12) ;

პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;

სტუდენტების პირადი საქმეებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემით (evet.emis.ge).

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.5** დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“ (დირექტორის ბრძანების N01/06 22 მაისი 2019 წელი-ცვლ-დირექტორის ბრძანება №01/14 15.08.2019 წელი) შემუშავებული აქვს მუხლი 12.-პროფესიული სტუდენტის მობილობა, მიღებული განათლების აღიარების წესი და პირობები,რომელმაც განიცადა ცვლილებები და დაემატა 12 პუნქტით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი რომლის თანახმად:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულური პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯი აფორმებს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, ხელშეკრულებას ანალოგიური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კერძო კოლეჯების ასოციაციასთან.

დაწესებულებაში არ განხორციელებულა გარე მობილობა, შესაბამისად პროცესის გადამოწმება ვერ მოხერხდა

*რეკომენდაცია:*

- ✓ დაწესებულებას არა აქვს სრულყოფილად გაწერილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის მექანიზმი

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ✓ დირექტორის ბრძანებითN01/06 22 მაისი 2019 წელი დამტკიცებული „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“ (ცვლ. 14.08.2019წ. ბრძ.№01/14 -მუხლი 12. )



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

- ✓ კერძო კოლეჯების ასოციაციასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით N01/06 22 მაისი 2019 წელი . რითიც ირკვევა, რომ დაწესებულებაში მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას ახორციელებს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

ხარისხის მართვის სამსახური თითოეული პროგრამის ციკლის დასრულების შემდეგ (6-9 თვე) შეფასების მიზნით შემუშავებულია კითხვარებით ატარებს პროფესიული სტუდენტების გამოკითხვას, ანკეტების შევსების სხვადასხვა ფორმით:

1. სტუდენტის მიერ მასწავლებლის და საგნის/მოდულის შეფასების ანკეტა,
2. პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროფესიული პროგრამის შეფასება (ანონიმური კითხვარი),
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულური პროგრმის განხორციელების შეფასება - გამოკითხვის ბარათი მასწავლებლებისათვის, რომელთა შინაარსი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. . ხარისხის მართვის სამსახურის ინციატივით პერიოდულად ეწყობა მასწავლებელთა პერსონალის შეხვედრები, რომლებისთვის პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები ამზადებენ მოხსენებას პროგრამის მოდიფიცირების გზების შესახებ.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულური პროგრამის განხორციელების შეფასებისათვის ხორციელდება კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკური მონაცემების შეგროვება.საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, საგანმანათლებლო პროფესიული, მოდულური პროგრამების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

განხორციელების შეფასების საფუძველზე, დირექტორის მოადგილე შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს დირექტორს.

დაწესებულებას, საგნობრივი პროგრამების განხორციელების დროს, შემუშავებული ჰქონდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინსტრუქცია.

ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა პროგრამის განხორციელების შეფასების ჩატარებისა და მიღებული მონაცემების ანალიზის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულებას ვიზიტის დროისთვის არ ქონდა შემუშავებული რეკომენდაციები გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე.

აღსანიშნავია, ასევე რომ „დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“, დოკუმენტით არაა გაწერილი ჩარჩო დოკუმეტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის მექანიზმები. დაწესებულებას რეკომენდაცია მიეცა შექმნას შიდა მონიტორინგის/მხარდაჭერის ჯგუფი ან/და პროგრამების ადაპტირებაზე მომუშავე ჯგუფს დააკისროს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი და შეიმუშაონ შიდა მონიტორინგის/მხარდაჭერის ჯგუფის სამოქმედო გეგმა და საჭირო დოკუმენტები.

*რეკომენდაცია:*

- ✓ დაწესებულებამ შეიმუშავოს პროგრამის განვითარების პროცესში სტუდენტთა და მასწავლებელთა შეფასების ჩართვისა და მათგან უკუკავშირის მიღების მექანიზმები. მაგ.: სამიზნე ჯგუფებში მოტივაციის ამაღლება, ფოკუს-ჯგუფების შექმნა, კითხვარების მოცულობის გადახედვა.

- ✓ შეიქმნას შიდა მონიტორინგის/მხარდაჭერის ჯგუფი ან/და პროგრამების ადაპტირებაზე მომუშავე ჯგუფს დააკისროს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი და შემუშავდეს ჯგუფის ფუნქციონირებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტი (სამოქმედო გეგმა, შეფასების ინსტრუმენტის და კალენდარული გეგმის შეფასების ფურცლები, ლექციებზე დასწრების კითხვარები და სხვა)

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ✓ დირექტორის ბრძანებითN01/06 22 მაისი 2019 წელი დამტკიცებული „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“ (ცვლ. 14.08.2019წ. ბრძ.№01/14 მუხლი 18. )
- ✓ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

- ✓ სპეციალური ანკეტა–კითხვარები

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

## 2. მატერიალური რესურსი

**2.1** დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

შ.პ.ს საზოგადოებრივ კოლეჯ თბილისის № 1 სამედიცინო სასწავლებელი მდებარეობს ერთ მისამართზე თბილისში, კედიას 7 ნომერში. გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პიტთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრთან“ 6 წლის ვადით.
დაწესებულების სარგებლობაშია პირველ (55 კვ.მ), მეორე (485 კვ.მ) და მესამე (473 კვ.მ) სართულებზე განლაგებული ფართი, რომელიც გამოიყენება საგანმანათლებლო მიზნებისათვის. სრულიად შეესაბამება განსახორციელებელ პროგრამებს.

დაწესებულებას მეორე და მესამე სართულებზე ფოიეებში გააჩნია სტუდენტთათვის მოსასვენებელი ადგილები. დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| | ქ. თბილისი, კედიას 7 | 1013 კვ.მ |

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ✓ იჯარის ხელშეკრულლებით- გაფორმებულია 1.08.2019-დან 6 წლის ვადით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ვიზიტის პერიოდში მოხდა დაწესებულების სარგელობაში არსებული ფართის ვიზუალური დათვალიერება და A, B, C გარემოს იდენტიფიკაცია და სასწავლო მიზნებისა და განხორციელების შესაძლებლობების განსაზღვრა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„საექთნო განათლება“** განხორციელებისათვის დაწესებულებას გააჩნია:

**მეორე სართულეზე:** ორი C გარემოს აუდიტორია (20+20 სტუდენტის ადგილი+1 მასწავლებლის ადგილი); ორი A,C გარემოს აუდიტორია (20+20 სტუდენტის ადგილი+1 მასწავლებლის ადგილი): ორი B გარემოს აუდიტორია (10+10=20 სტუდენტის კომპიუტერი, 1+1 მასწავლებლის კომპიუტერი)
**მესამე სართულზე:** ოთხი A გარემოს აუდიტორია (20+20+20+20=80 სტუდენტის ადგილი, 1+1+1+1 მასწავლებლის ადგილი);

ერთი B გარემოს აუდიტორია (10 სტუდენტის კომპიუტერი, 1 მასწავლებლის კომპიუტერი); ერთი A,C გარემოს აუდიტორია (20 სტუდენტის ადგილი, 1 მასწავლებლის ადგილი).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ფარმაცია“ (სააფთიაქო)** განხორციელებისათვის დაწესებულებას გააჩნია:

**მეორე სართული:** სამი A,C გარემოს აუდიტორია (20+20+20=60 სტუდენტის სამუშაო ადგილი, 1+1+1 მასწავლებლის ადგილი)

ერთი A გარემოს აუდიტორია (20 სტუდენტის ადგილი, 1 მასწავლებლის ადგილი).

სასწავლებლის შესაბამის აუდიტორიებში მატერიალური რესურსი შესაბამისობაშია მატერიალური რესურსების ნორმატივით განსაზღვრულ ჩამონათვალთან.

დაწესებულების მხრიდან იქნა წარმოდგენილი მოდულურ პროგრამებზე სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შეძენის, შენახვის მექანიზმები, ასევე სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესები,

ატორიზაციის ჯგუფის მიერ შემოწმდა მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ადასტურებს სასწავლებლის მიერ მის ფლობას.

დაწესებულების A,B,C გარემოს, მატერიალური და ადამიანური რესურსების შესაძლებლობების , პრაქტიკის ობიექტების ერთდროული სტუდენტთა დატვირთვის ანალიზის საფუძველზე პროფესიულ საგანმნათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესაძლებლობა შეადგენს 160 სტუდენტს. ხოლო პროფესიულ საგანმნათლებლო პროგრამა „ფარმაცია“ (სააფთიაქო)სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესაძლებლობა შეადგენს 120 სტუდენტს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

- ✓ ვიზუალური დათვალიერებით;
- ✓ ბუღალტრული დოკუმენტებით

**შეფასება:**

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები ცალკ-ცალკე მამაკაცებისათვის, ქალებისათვის და შშმ პირებისათვის; ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და ცენტრალური გათბობის საშუალებები . ასევე გაგრილების საშუალებები (ვენტილიატორები).

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ✓ ვიზუალური დათვალიერებით;
- ✓ კომუნალურების გადასახადების გადახდის ქვითრებით;
- ✓ ბურალტრული დოკუმენტაციით.

**შეფასება:**

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში მითითებულ ლიტერატურას, გაწერილია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, დაწესებულებას ჰყავს შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი სერტიფიცირებული ბიბლიოთეკარი, ბიბლიოთეკის ფონდი შედგება 1500-მდე ერთეულისაგან და შესაბამისობაშია მოდულებში მითითებულ ლიტერატურასთან. ბიბლიოთეკის რესურსები რეგისტრირებულია ბიბლიოთეკარის მიერ და ახლავს დისკები ელექტრონული რესურსების დაცვის მიზნით. ბიბლიოთეკის სივრცეში განთავსებულია სტუდენტებისათვის სამკითხველო სამუშაო მაგიდა და სკამები. ასევე ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი და ბეჭდური საშუალებები.

ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული საძიებო სისტემა, რაც ხელმისაწვდომია სტუდენტთათვის, მასწავლებელთათვის და სხვა დაინტერესებულ პირთათვის.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ✓ ვიზუალური დათვალიერებით
- ✓ ბიბლიოთეკის საინვენტარიზაციო წიგნი
- ✓ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების ბალანსზე ირიცხება 48 კომპიუტერი, 9 მონიტორი, 4 პრინტერი-კომბაინი, 5 პრინტერი, 2 პროექტორი, აქედან:

სტუდენტებისთვის 31 კომპიუტერი;

მასწავლებლის: 11 კომპიუტერი, 2 პრინტერი-კომბაინი; 1 პრინტერი; 2 პროექტორი, 9 მონიტორი;

ბიბლიოთეკა: 1 ბიბლიოთეკარის კომპიუტერი, პრინტერი-კომბაინი;

ადინისტრაციის: 6 კომპიუტერი, 2 პრინტერი-კომბაინი, 4 პრინტერი

**რეკომენდაცია:** სასურველია უფლებამოსილი პირის მიერ გამოიცეს ბრძანება მატერიალური რესურსების გადანაწილების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ✓ ვიზუალური დათვალიერებით
- ✓ მიღება-ჩაბარების აქტებით;

**შეფასება:**

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5** დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არსებობს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, სადაც დეტალურად არის აღწერილი ცეცხლის კერის არსებობის შემთხვევაში მოქმედების გეგმა და ცეცხლმაქრების გამოყენების ინსტრუქცია, გარდა ამისა დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედი შტაბი, გაწერილია სამოქმედო გეგმა და მოვალეობები. დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია 4 ცეცხლმაქრი, რომელიც დამუხტული და მოქმედია.

**ბ)თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;**

დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომელიც შეთანხმებულია თბილისის საგანგებო სიტუაციების სამმართველოსთან.

**გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;**

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, დამტკიცებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, გამოყოფილია პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის სპეციალური ოთახი, აღჭურვილი პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის

საჭირო რესურსით და მედიკამენტით. შტატში დანიშნულია ექიმი. ხდება მედიკამენტების ვადის კონტროლი სპეციალური ჟურნალის გამოყენებით.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

დაწესებულებას წესრიგის დაცვის მიზნით შესაბამის პიროვნებასთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ვიზუალური დათვალიერებით
- დამტკიცებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები
- დამტკიცებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები
- შესაბამის პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- დამტკიცებული ევაკუაციის გეგმები.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას გააჩნია საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 22 მაისის №01/06 ბრძანებით, რომლის შესაბამისად მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპოდენციის აღრიცხვა, სათანადო წესით წარმოებს ბრძანებების, გასული და შემოსული კორესპოდენციის აღრიცხვის, სარეგისტრაციო ჟურნალები.

**რეკომენდაცია:** სასურველია დაწესებულებას გააჩნდეს სტრუქტურული ქვედანაყოფების სხდომის ოქმების სარეგისტრაციო ჟურნალი.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ✓ საქმისწარმოების ერთიანი წესით;
- ✓ დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალებით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7** დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

შენობა-ნაგებობას აქვს შეზღუდული შესაძლებლობების პირებისათვის თავისუფალი მისვლის საშუალება და შენობაში შესასვლელდ კაპიტალური პანდუსი. შენობას გააჩნია ლიფტი, რაც ქმნის შენობის მთელ პერიმეტრზე შეზღუდული შესაძლებლობების პირებისათვის თავისუფალი გადაადგილების საშუალებას. შეზღუდული შესაძლებლობების პირებისათვის არსებობს ცალკე ადაპტირებული სველი წერტილი. აუდიტორიებში დაბრკოლების გარეშე შესაძლებელია გადაადგილება.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ✓ ვიზუალური დათვალიერებით

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ვებგვერდი www.medicalschool.ge ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია როგორიცაა დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მასწავლებლები, ადმინისტრაცია, იურიდიული დკუმენტები, კატალოგი, სტრატეგიული განვითარების გეგმები, ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი, ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების მიერ განხორციელებული აქტივობები;

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ✓ ვიზუალური დათვალიერებით;
- ✓ ინტერნეტ-მომსახურეობის შესყიდვის შესახებ 2018 წლის 02 აპრილის სს სილქნეტთან გაფორმებული № 73 ხელშეკრულებით;
- ✓ დომენის (01.12.2015წ) და ჰოსტინგის (27.04.2018წ.) ხელშეკრულებით;

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

**2.9** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას აქვს ექვს წლიანი 2016-2022 წლების სტრატეგიული გეგმა დამტკიცებული სასწავლებლის დირექტორის
ბრძანებით 01/15 08. 08. 2016 წელი. და 2018-19 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცებული სასწავლებლის დირექტორის
ბრძანებით № 01/14 25.12.2018 წ
რომლებიც გამომდინარეობენ დაწესებულების მისიიდან და ითალისწინებენ მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს, საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწას, ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, ხარისხის უზრუნველყოფის განვითარებას.

სამოქმედო გეგმის აქტივობები შესაბამისია დაწესებულების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

• ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა დამტკიცებული სასწავლებლის დირექტორის ბრძანებით 01/15 08. 08. 2016 წელი;
• 2018-19 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცებული სასწავლებლის დირექტორის
ბრძანებით № 01/14 25.12.2018 წ

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

## 3. ადამიანური რესურსი

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას შინაგანაწესში აღწერილი აქვს დაწესებულების პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; დაწესებულებას ჰყავს 16 ადმინისტრაციული პერსონალი, რომლებიც თანამდებობეზე დანიშნულია შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პერსონალის პირადი საქმით;
- ✓ ხელშეკრულებებით;
- ✓ დანიშვნის აქტებით

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯის პროფესიული მასწავლებლის პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამსს „საექთნო განათლება" ახორციელებს 42 მასწავლებელი. პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

კლინიკური პრაქტიკის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციები არ შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კერძოდ პრაქტიკის განმახორციელებელ პერსონალს არ უდასტურდებათ ინგლისური ენის A1 და საოფისე პროგრამების ფლობა.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა ნაწილი განმახორციელებელი პერსონალის ცნობები, რაც ადასტურებს,რომ საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეა"-ში ინგლისური A1 დონის და კომპიუტერული უნარების შესაბამისი ფლობის დამდგენი კომისიის მიერ ექთნების ტესტირების საფუძველზე დაუდასტურდათ ინგლისური A1 დონის და კომპიუტერული უნარების შესაბამისი ფლობა.

პრაქტიკის განმახორციელებელი პერსონალი,დან 10 პირის კვალიფიკაცია არ შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამსს „ფარმაცია" (სააფთიაქო) ახორციელებს 16 მასწავლებელი. პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი. საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებლები.

**რეკომენდაცია:**

დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული მასწავლებლების დატრენინგება კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ✓ მასწავლებელთა პირადი საქმით
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამებით

**შეფასება:**

ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას არ აქვს დადგენილი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა ხელშეკრულებაში არ არის მითითებული სამუშაოს ადგილი.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიულ მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- emis-ის მონაცემებით.

**შეფასება:**

ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/ საგნობრივი პროგრამებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საექთნო განათლება | მეხუთე დონე/საფეხური | ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0913 მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 090554 | 180 | 210 | ქართული | თბილისი, კედიას 7 | 0 | 160 |
| 2 | ფარმაცია (სააფთიაქო) | ეხუთე დონე/საფეხური | ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0916 | 123 | 153 | ქართული | თბილისი, კედიას 7 | 0 | 120 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 090352 | | | | | | |

## IX. თანდართული დოკუმენტაცია

06/09/2019

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*